


შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

ჩ ა ო

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

2020 წელი



შინაარსი:

1. სრული შემოსავლის ანგარიშგება
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
3. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
4. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
5. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

შპს ჩაო სრული შემოსავლების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

		31.12.2020	31.12.2019
ამონაგები	4	336,181	671,193
სხვა შემოსავლები		8,809	2,792
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(2,204)	10,745
მარაგის შეძენა		— (28,573)	(63,782)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(105,980)	(184,444)
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯი		(87,460)	(88,548)
შემენილი მომსახურების ხარჯი	5	(70,034)	(52,598)
საგადასახადო ხარჯი		(4,739)	(4,797)
სხვა ხარჯი	6	(6,506)	(15,836)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		39,496	274,726
საკუროს სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(148,354)	(77,311)
ფინანსური ხარჯი		(42,342)	(85,435)
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(151,201)	111,981
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(151,201)	111,981

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

შპს ჩაო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	7	2,814,484	2,897,566	2,968,480
არამატერიალური აქტივები	8	-	-	52
სულ გრძელვადიანი აქტივი		<u>2,814,484</u>	<u>2,897,566</u>	<u>2,968,532</u>
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	9	34,736	36,953	26,216
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10	131,343	1,077,658	1,066,751
მიმდინარე საგადასახადო აქტივები		30,093	32,072	13,603
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	997,322	64,497	82,473
სულ მიმდინარე აქტივები		<u>1,193,494</u>	<u>1,211,181</u>	<u>1,189,043</u>
სულ აქტივები		<u>4,007,978</u>	<u>4,108,746</u>	<u>4,157,575</u>
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,307,192	2,290,192	2,290,192
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		<u>593,527</u>	<u>744,728</u>	<u>686,781</u>
სულ საკუთარი კაპიტალი		<u>2,900,719</u>	<u>3,034,920</u>	<u>2,976,973</u>
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	12	1,098,506	1,063,591	1,173,514
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		<u>1,098,506</u>	<u>1,063,591</u>	<u>1,173,514</u>
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	4,656	5,138	2,604
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		<u>4,097</u>	<u>5,097</u>	<u>4,484</u>
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		<u>8,753</u>	<u>10,235</u>	<u>7,089</u>
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		<u>4,007,978</u>	<u>4,108,746</u>	<u>4,157,575</u>

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

შპს ჩაო

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2018 წაშთი	2,290,192	686,781	2,976,973
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	111,981	111,981
გაცემული დივიდენდი		(54,034)	(54,034)
31.12.2019 წაშთი	2,290,192	744,728	3,034,920
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	17,000	-	17,000
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(151,201)	(151,201)
გაცემული დივიდენდი	-	-	-
31.12.2020 წაშთი	2,307,192	593,527	2,900,719

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

შპს ჩაო ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2020	31.12.2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	401,791	778,978
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	842,060	(142,317)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(75,573)	(144,190)
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები	1,168,279	492,472
გადახდილი გადასახდები	(62,394)	(164,409)
ფულადი სახსრების ნაკადები განსაკუთრებულ მუხლებამდე	1,105,884	328,063
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,105,884	328,063
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შეძენა	(19,967)	(19,967)
მიღებული/გადახდილი დივიდენდი	-	(50,000)
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(19,967)	(69,967)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ჰესების ძირის გადახდა	(109,574)	(190,771)
სესხის პროცენტის გადახდა	(42,342)	(85,435)
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	1,709	649
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(2,884)	(514)
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(153,092)	(276,071)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	932,825	(17,976)
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	64,497	82,473
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	997,322	64,497

დირექტორი

მთ. ბუღალტერი



თამაზ მახარაძე

დათო ზოიძე

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჩაო ს.ნ 445402617, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმო, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 27.10.2011 წელს. საწარმოს იურიდიული მისამართი ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძეს ქ. 75, საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის ქ. ბათუმი, ზურაბ გორგილაძეს ქ. 75. საწარმო დაფუძნებული და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი თამაზ მახარაძე (პ/ნ:61001010137).

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა სასტუმრო და სარესტორნო მომსახურების მიწოდება, ასევე ქონების იჯარით გაცემა შემოსავლის მიღების მიზნით.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოადგინილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1. ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდას და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების შემოსვლის გადავადების შემთხვევაში, თუ შეთანხმება, თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ამონაგების აღიარება ხდება მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2. ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი მიწოდების პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან ან სხვა საწარმოდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირითადი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება მისი საბოლოო ღირებულებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.3. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი აღიარდება როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

3.4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

✓ შენობა ნაგებობები	-2 %
✓ მანქანა დანადგარები	- 10-15%
✓ საოფისე აღჭურვილობა	-20-30%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	-14-20%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	-10-20%
✓ სხვა ძირითადი საშუალებები	-5-20%

3.5. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.6. მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

3.7. იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.8. დაქირავებულ პირთა გასამრჯელო

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

3.9. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.10. მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა და ბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ამონაგები

(ლარი)		
დასახელება	31.12.20	31.12.19
1 სასტუმროს ნომრების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი	270,684	517,366
2 საიჯარო მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	65,498	153,828
ჯამი:	336,181	671,193

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

(ლარი)		
დასახელება	31.12.20	31.12.19
1 სარეკლამო მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯი	1,078	4,486
2 ბუნებრივი აირის ხარჯი	7,987	10,056
3 ელექტრო ენერგიის ხარჯი	7,316	12,610
4 წყლისა და კანალიზაციის მომსახურების ხარჯი	2,088	5,153
5 დასუფთავების მოსაკრებელი	870	1,058
6 საკაბალო ტელევიზიის მომსახურების ხარჯი	495	540
7 საკომუნიკაციო ხარჯი	2,805	3,241
8 სხვა მომსახურების ხარჯი	47,395	15,454
ჯამი:	70,034	52,598

6. სხვა ხარჯები

(ლარი)		
დასახელება	31.12.20	31.12.19
1 მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	4,825	13,084
2 დახმარების და ქველმოქმედების ხარჯი	588	1,372
3 არასაგადასახადო ხარჯი	-	-
4 სხვა მომსახურების ხარჯი	1,092	1,380
ჯამი:	6,506	15,836

7. ძირითადი საშუალებები

(ლარი)

შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2019
1 დაუმთავრებელი მშენებლობა	3,390			3,390
2 შენობა-ნაგებობა	3,348,554			3,348,554
3 მანქანა დანადგარები	84,922			84,922
4 ოფისის აღჭურვილობა	31,461	4,178		27,283
5 ავეჯი და სხვა ინვენტარი	188,781	240		188,541
6 სატრანსპორტო საშუალებები	9,000			9,000
ჯამი:	3,666,108	4,418	-	3,661,690

ცვეთა	ნაშთი 31.12.2020	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2019
1 შენობა-ნაგებობა	619,675	67,897		551,778
2 მანქანა დანადგარები	51,933	6,578		45,355
3 ოფისის აღჭურვილობა	23,621	2,218		21,403
4 ავეჯი და სხვა ინვენტარი	147,954	10,766		137,188
5 სატრანსპორტო საშუალებები	8,400			8,400
ჯამი:	851,583	87,459	-	764,124
საბალანსო ღირებულება	2,814,484			2,897,566

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2020	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2019
1 ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	610	-	-	610
ჯამი:	610	-	-	610

ცვეთა	ნაშთი 31.12.2020	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2019
1 ლიცენზიები და პროგრამული უზრუნველყოფა	610	-	-	610
ჯამი:	610	-	-	610
საბალანსო ღირებულება	-			-

9. მარაგი

(ლარი)

დასახელება	31.12.20	31.12.19
1 სარეალიზაციო საქონელი	427	840
2 ნედლეული და მასალები	780	2,473
3 დაუმთავრებელი წარმოება	-	-
4 მზა პროდუქცია	3,808	5,410
5 სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	29,721	28,231
ჯამი:	34,736	36,953

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

(ლარი)

დასახელება	31.12.20	31.12.19
1 სავაჭრო მოთხოვნები	9,199	17,627
3 მოთხოვნა პერსონალთან	0	0
4 გადახდილი ავანსები	122,144	1,060,031
ჯამი:	131,343	1,077,658

11. ფულადი სახსრები

(ლარი)

დასახელება	31.12.20	31.12.19
1 ფული საბანკო ანგარიშზე	993,758	58,570
3 ნაღდი ფული სალაროში	3,564	5,927
4		
ჯამი:	997,322	64,497

12. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება	31.12.20	31.12.19
1 სესხის ხელშეკრულება #3649653 თარიღი: 01.07.2016	1,098,506	1,063,591
ჯამი:	1,098,506	1,063,591

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

(ლარი)

დასახელება	31.12.20	31.12.19
1 სავაჭრო ვალდებულებები	4,656	5,138
2 ვალდებულება პერსონალთან	-	-
ჯამი:	4,656	5,138

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 1 მარტს.

დირექტორი



თაზაზ მახარაძე

მთ. ბუღალტერი

დათო ზოიძე